

D-დიმერი

D-დიმერი არის ფიბრინის დეგრადაციის პროდუქტი, პატარა ზომის ცილის ფრაგმენტი, რომელიც სისხლში კოლტის ფიბრინოლიზით დაშლის შედეგად ჩნდება. D-დიმერი მიუთითებს ორგანიზმში თრომბის არსებობაზე, თუმცა არ მიუთითებს თრომბის მდებარეობას.

რატომ კეთდება D-დიმერის ტესტი?

D-დიმერის ტესტი კეთდება ორგანიზმში თრომბის არსებობის გამოსარიცხად.

D-დიმერის ტესტი გამოიყენება საშუალო და დაბალი რისკის მქონე პაციენტებში (თრომბის განვითარების თვალსაზრისით) პულმონური ემბოლიისა და ღრმა ვენური თრომბოზის გამოსარიცხად.

D-დიმერის ტესტი სხვა კოაგულაციურ ტესტებთან ერთდ გამოიყენება დისიმინირებული ინტრავასკულარული კოაგულაციის (DIC) სინდრომის დიაგნოსტიკაში.

D-დიმერის ტესტი, აგრეთვე გამოიყენება DIC სინდრომის მკურნალობის შესაფასებლად.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული D-დიმერი?

D-დიმერი ნორმაში <400ng/ml

მომატებული D-დიმერი მიუთითებს ორგანიზმში თრომბის არსებობაზე, თუმცა არ მიუთითებს თრომბის მდებარეობას.

D-დიმერი მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია;
- ღრმა ვენური თრომბოზი;
- DIC -სინდრომი;
- აორტის განშრევა;
- ღვიძლის კარის ვენის თრომბოზი.

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

D-დიმერი მატულობს ხანდაზმულებში, აგრეთვე პაციენტებში რომლებსაც აქვთ დადებითი რევმატოიდული ფაქტორი და ჰემოლიზური დაავადებები შეიძლება იყოს ცრუ დადებითი შედეგები. D-დიმერი ნორმაში მატულობს ორსულობის დროს.